საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-216

06/03/2019

ქ. თბილისი

ქ. ქობულეთში სასარგებლო წიაღისეულის, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს“ მიერ, გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ქობულეთში სასარგებლო წიაღისეულის, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო“ გეგმავს ლიცენზიის გაცემას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე (სამეწარმეო მიზნით), ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ. N174-ში ერთ ჭაბურღილზე წელიწადში 174 200 $მ^3$ რაოდენობით. აღნიშნული ტერიტორია შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ის საკუთრებაშია. ობიექტის კოორდინატებია - X: 730603; Y: 4635900. კოორდინატების ელექტრონული გადამოწმებისას დადგინდა, რომ მანძილი ჭაბურღილიდან უახლოეს საცხოვრებელი სახლამდე დაახლოებით 50 მეტრია. ჭაბურღილიდან 60 მეტრში მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო ზოლი. ობიექტი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან დაშორებულია 18 მეტრით.

მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის წლიური რაოდენობა შეადგენს 174 200 $მ^3$-ს. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P_2 (პროგნოზული) კატეგორიით. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე უცნობია. ჭაბურღილის სანიტარული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონა დგინდება „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად და შეადგენს არანაკლებ 15 მეტრს. მოპოვებული წყლის რაოდენობის აღრიცხვისთვის დამონტაჟებულია მრიცხველი, ასევე მოწყობილია თავმორთულობა და დამცავი ჯიხური.

სალიცენზიო ობიექტი და მიმდებარე ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია ზღვიური ტერასული ნალექებით, რომელიც ზემოდან დაფარულია ნიადაგის თხელი ფენით. გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება პირველ (მარტივ) კატეგორიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით წყალშემცველი ჰორიზონტის კვების წყაროს წარმოადგენს ატმოსფერული ნალექები და მდინარეების წყლები. ქიმიური შედგენილობით

ჰორიზონტის წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა. წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით. წყლის ტემპერატურა 12-16.5 ^{0}C-ია.

ჭაბურღილი წარმოადგენს არსებულ ობიექტს, ხოლო ტერიტორია უკვე ათვისებულია, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის შედეგად არ არის მოსალოდნელი ხმაურის წარმოქმნა. საქმიანობა არ არის დაგეგმილი ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ ჭაბურღილის ექსპლუატაციას და მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ქობულეთში სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქალაქ ქობულეთის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი